ოიღონ მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი;

- აუცილებლობის შემთხვევაში შეუზღუდონ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს თავისუფალი გადაადგილების უფლება, აუკრძალონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ადგილსამყოფელის დატოვება სათანადო ნებართვის გარეშე.

10. გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული საქართველოში მოქმედი სპეციალური წესები

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად: „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა დაშვებულია მხოლოდ:

ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე — ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან;

ბ) ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე) – გორის მუნიციპალიტეტის მიმართულებიდან.“

აღნიშნული მიმართულებების გარდა, ყველა სხვა მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის აკრძალულია და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაიცეს აკრძალული მიმართულებებიდან შესვლის სპეციალური ნებართვა, საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

ამასთან, აკრძალვა არ ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს სახელმწიფოს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახორციელებს გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას და პირებზე, რომლებზეც გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი.

დაირღვა

თქვენი უფლებები?

მიმართეთ

სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროექტის“ ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

გადაადგილების თავისუფლება

საქართველოს
სახალხო
დამცველი

1. რას გულისხმობს გადაადგილების თავისუფლება?

გადაადგილების თავისუფლება არის ადამიანის უფლება დაუბრკოლებლად იცვლიდეს ადგილსამყოფელს და ირჩევდეს თავის საცხოვრებელ ადგილს ყოველი სახელმწიფოს ფარგლებში. ყველა ადამიანის ასევე აქვს უფლება, დატოვოს ქვეყანა და დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

2. საერთაშორისო სამართალი

გადაადგილების თავისუფლება დაცულია გაეროს 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო“ დეკლარაციის მე-13 მუხლით, გაეროს 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-12 მუხლით და „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-4 დამატებითი ოქმის, მე-2 მუხლით.

3. შიდა სამართალი

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამ მუხლის მიხედვით:

- ყველას ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება;
- ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში;
- ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

4. ვისზე ვრცელდება თავისუფალი გადაადგილების უფლება?

საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება ვრცელდება ყველა პირზე, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი საქართველოს მოქალაქე. სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „ყველა“. ამდენად, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად

5. საქართველოდან გასვლის უფლება

კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოში კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის ქვეყნის დატოვების უფლებას. ეს უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მფარველობაში მყოფ ნებისმიერ პირზე. საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება არ ნიშნავს, რომ მას ყოველთვის აქვს უფლება, შევიდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დატოვა საქართველოს ტერიტორია, შეიძლება არ მიეცეს სხვა სახელმწიფოში შესვლის უფლება.

6. საქართველოში შემოსვლის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ ადგენს, რომ „საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება.“ ამავე კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, რომ „საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება“. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს არ შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლება უზრუნველყოფილია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება იმის გარანტია, რომ ისინი თავისუფლად შემოვლენ საქართველოში.

7. ვინ არის „უცხოელი“?

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უცხოელი არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი.

8. რა შემთხვევებში შეიძლება შეიძლება შეიზღუდოს გადაადგილების თავისუფლება?

გარდა საქართველოს კონსიტუციის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, „საგანგებო მდგომარეობის“ შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს, რომლის მიხედვით, ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების ან სხვა შემთხვევებში, როცა ცხადდება საგანგებო მდგომარეობა, შესაძლებელია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა.

9. რა სახით შეიძლება შეიზღუდოს გადაადგილების თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის დროს?

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით სხვა ძირითად უფლებებთან ერთად ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, შეუძლიათ შეზღუდონ გადაადგილების თავისუფლებაც, შემდეგი სახით:

- დროებით გაასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან, ამასთან, აუცილებლად მისცენ სტაციონარული ან სხვა დროებითი საცხოვრებელი სადგომები;
- საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ადგილებში შემ-

საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ № _____

ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

განცხადება

განმცხადებლის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____ წელი, თვე, რიცხვი